INSTITUTE FOR DEVELOPMENT OF FREEDOM OF INFORMATION

IDFI

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)

„ციფრულ საეთერო მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესის მონიტორინგი და მხარდაჭერა“

შუალედური ანგარიში

(მაისი - აგვისტო)

2015 წელი

შესავალი

ფონდ „ღია საზოგადოება - საქართველოს“ მხარდაჭერით 2015 წელს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა“ (IDFI) გააგრძელა პროექტი ციფრულ საეთერო მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესის მონიტორინგი და მხარდაჭერა“.

2015 წელი წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს პერიოდს საქართველოს ციფრულ საეთერო მაუწყებლობაზე გადასვლისთვის. საქართველოს მთავრობის N723 დადგენილებით განსაზღვრული, ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესში საქართველოში ანალოგური მაუწყებლობის სიგნალის გადამცემი სადგურების გათიშვის გრაფიკის შესაბამისად ივნისსა და აგვისტოში ეტაპობრივად უნდა განხორციელდეს ეროვნული საეთერო მაუწყებლობის ანალოგური ქსელების გამორთვა. სწორედ ამ პროცესის ადვოკატირება და ხელშეწყობაა პროექტის ერთ-ერთი უმთავრესი მიმართულება, ასევე მნიშვნელოვანია ციფრულ საეთერო მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესის მხარდაჭერის საინფორმაციო კამპანიის მონიტორინგი.

2015 წლისთვის აუცილებელია ორგანიზაციის აქტიური ჩართულობა და პროცესის მჭიდრო ზედამხედველობა ეროვნული და ადგილობრივი დაფარვის ციფრული საეთერო ქსელის აგების და სალიცენზიო პირობების შესრულების, ბოლო მომხმარებლებისთვის განკუთვნილი რისივერების დარიგების და ციფრული საეთერო მომსახურებისთვის განკუთვნილი ტერმინალების საცალო და საბითუმო ბაზრის მდგომარეობის მონიტორინგის, ასევე საინფორმაციო კამპანიის მიზნით.

ციფრულ საეთერო მაუწყებლობაზე გადასვლით ასევე იცვლება დარგის ბიზნეს მოდელი და მიდგომები, შესაბამისად 2015 წელს უნდა მოხდეს ცვლილებების შეტანა ციფრულ საეთერო მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესის მარეგულირებელ სამართლებრივ აქტებში, პირველ რიგში კი "ელექტრონული კომუნიკაციის შესახებ" და "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონებში. აღნიშნული ცვლილებები განსაზღვრავს საეთერო, და ზოგადად სამაუწყებლო ბაზრის კონიუნქტურას და სამართლებრივ ურთიერთობებს ქსელთან დაშვების, საქმიანობის უფლების მიღების და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს.

უმნიშვნელოვანესია აღნიშნულ პროცესში ინტენსიური მონაწილეობა, ჩართულობა და მისი მჭიდრო ადვოკატირება. საჭიროა, რომ სწორად და დაგეგმილი პროცედურების დაცვით მოხდეს პროცესის ბოლო ეტაპის წარმართვა და მედიის ინტერესებზე მორგებული სტრატეგიის წარმატებით იმპლემენტაცია და რეალიზაცია.

მჭიდროდ უნდა გაკონტროლდეს საქართველოში არსებული ეროვნული, ადგილობრივი და რეგიონული მაუწყებლების საეთერო სიგნალების ქსელთან წვდომის საკითხები, ე.წ. სისტემური და არასისტემური დაბრკოლებების გამოსავლენად და აღმოსაფხვრელად. ამ პროცესში ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის სტრატეგიის განხორციელების პროცესი სამთავრობო გეგმის

შესაბამისად დაიწყო 2014 წლის ბოლოს და საბოლოოდ დასრულდება 2016 წლის პირველ ნახევარში.

1. პროექტის ამოცანები

პროექტით განსაზღვრულ პერიოდში, ციფრულ საეთერო მაუწყებლობაზე გადასვლის დასკვნითი ეტაპის წარმატებით განხორციელება ქართული მედია გარემოს გაუმჯობესების კუთხით ყველაზე მნიშვნელოვანია. აქტივობები უნდა განხორციელდეს შემდეგი ოთხი მიმართულებით:

• ციფრული საეთერო მაუწყებლობის პლატფორმაზე გადასვლის საინფორმაციო კამპანიის პროცესის მონიტორინგი, ადვოკატირება და ხელშეწყობა რეკომენდაციების მომზადებით და წარდგენით, ასევე მაღალპროფესიონალური კვლევების საშუალებით, მოსახლეობის ინფორმირებულობის კამპანიის ეფექტურობის მონიტორინგი და მისი რეალიზაციის ეფექტურობის კვლევა;

• ციფრული საეთერო მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესთან დაკავშირებული სამართლებრივი ცვლილებების შემუშავების და მისი იმპლემენტაციის პროცესში ჩართულობა, შეფასება, რეკომენდაციების წარდგენა, განხორციელების ხელშეწყობა და ადვოკატირება;

• საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, სსიპ "ციფრული მაუწყებლობის სააგენტოს", საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის, შპს "საქართველოს ტელერადიო ცენტრის", სსიპ "საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის", ციფრული საეთერო ქსელის კერძო ლიცენზიანტების (ეროვნული და ადგილობრივი დაფარვის ოპერატორების) იმ აქტივობების მონიტორინგი, რომელიც უკავშირდება ციფრულ საეთერო მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესს;

• ციფრული საეთერო მაუწყებლობის მისაღებად განკუთვნილი აპარატურის დარიგების პროცესის მონიტორინგი, ბაზრის და მოსახლეობის მზაობის კვლევა, რეკომენდაციების მომზადება და მათი იმპლემენტაციის ადვოკატირება.

2. განხორციელებული აქტივობები

პროექტის რეალიზაციის პირველ ეტაპზე (4 თვიანი პერიოდი) ფარგლებში აქტივობები რამდენიმე მიმართულებით განხორციელდა. IDFI-ს წარმომადგენლები აქტიურად იყვნენ ჩართულნი ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესის მონიტორინგში, საჭირო საკანონმდებლო ცვლილებების და სხვა მარეგულირებელი კანონქვემდებარე აქტების შემუშავებაში, ასევე მონიტორინგს უწევდნენ მიმდინარე საინფორმაციო კამპანიას და ციფრული სიგნალის მიმღები მოწყობილობის, სეტ ტოპ ბოქსის ბაზარზე კონცენტრაციის საკითხებს. გარდა ამისა, უშუალოდ ამოწმებდნენ ციფრული ქსელის მდგრადობას და სიგნალის გავრცელების არეალს. მიღებული შედეგების შესახებ ინფორმაცია კი პროაქტიულად ქვეყნდებოდა IDFI-ს ვებ გვერდზე www.idfi.ge და შემუშავებული რეკომენდაციები ეგზავნებოდა შესაბამის უწყებებს.

პროექტის ფარგლებში გამოქვეყნდა შემდეგ მასალები:

- პროექტის ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის მხარდაჭერა და მონიტორინგი საქართველოში პროექტის განხორციელების ანგარიში | 4 მარტი 2015
- IDFI-ის ანალიტიკოსი სტუდენტებს ციფრულ მაუწყებლობაზე ესაუბრა | 19 მაისი 2015
- IDFI-ს ორგანიზებულ შეხვედრაზე ციფრულ საეთერო მაუწყებლობაზე გადასვლის პრობლემები განიხილეს | 29 მაისი 2015
- ციფრული მაუწყებლობისთვის საჭირო სეტ ტოპ ბოქსები ქართულ ბაზარზე | 9 ივნისი 2015
- ციფრული საეთერო მაუწყებლობის მისაღებად განკუთვნილი რესივერები საცალო ვაჭრობის ქსელში | 12 ივნისი 2015
- სად შეგიძლიათ შეიძინოთ სეტ-ტოპ-ბოქსები? | 15 ივნისი 2015
- რა უნდა ვიცოდეთ ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლისთვის? | 25 ივნისი 2015
- 1 ივლისს თბილისსა და მის შემოგარენში ანალოგური სიგნალი გამოირთვება | 25 ივნისი 2015
- სეტ ტოპ ბოქსების კონცენტრაცია ბაზარზე ანალოგური სიგნალის გამორთვამდე ერთი კვირით ადრე | 26 ივნისი 2015
- ციფრული სიგნალის სრულყოფილად მისაღებად უმჯობესია სახლის ანტენების სახურავზე განთავსება | 3 ივლისი 2015
- სად შეიძლება სეტ ტოპ ბოქსების შეძენა შიდა ქართლში? | 8 ივლისი 2015

- ციფრული მაუწყებლობა აჭარაში - 30 ივლისს აჭარაში ანალოგური სიგნალი გამოირთვება | 29 ივლისი 2015
- IDFI-მ სოფიო მურადოვს ციფრული სიგნალის მიმღები | 17 აგვისტო 2015

2.1 საკანონმდებლო ცვლილებები

ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის სახელმწიფო სტრატეგიით ანალოგური სიგნალის გათიშვის ბოლო ვადად 2015 წლის 17 ივნისი განისაზღვრა. ამ პერიოდამდე საჭირო იყო საკანონმდებლო ცვლილებების, ასევე კანონქვემდებარე აქტებში ცვლილებების მომზადება, რომელიც სამართლებრივად დაარეგულირებდა მიმდინარე პროცესს.

ამ მიმართულებით უნდა გამოიყოს შემდეგი უმთავრესი აქტივობები:

- ჩართულობა და შენიშვნები „მაუწყებლობის შესახებ“ და „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საკანონმდებლო ცვლილებები. აღნიშნული მიმართულებით IDFI აქტივობებს ახორციელებდა, როგორც დამოუკიდებლად, ასევე კოალიციის „მედია ადვოკატირებისთვის“ ფარგლებში. ორგანიზაციის მიერ წარდგენილი იყო წერილობითი მოსაზრებები. IDFI-მ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ შემუშავებულ პროექტზე დეტალური შენიშვნები 24 მარტს გაუგზავნა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს (წერილი #20150315), საქართველოს პარლამენტს (წერილი #20150317), კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას (#20150316) და იუსტიციის სამინისტროს (წერილი #20150318). მთლიანობაში წარდგენილია 25-მდე შენიშვნა დასაბუთებასთან ერთად.
- მიმდინარე წლის 28 მაისის ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის შესახებ გამართულ შეხვედრაზე საქართველოს პარლამენტში დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტში, სადაც მოისმინეს ქვეყნის მზაობის ანგარიში, მონაწილეობა მიიღო ორგანიზაციის წარმომადგენელმა - უჩა სეთურმა. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წარმომადგენლებმა შეხვედრაზე დაადასტურეს, რომ 17 ივნისს საქართველოს მთლიანი გამორთვა უნდა მომხდარიყო. უჩა სეთურმა არასაკმარისად შეაფასა სახელმწიფოს მიერ განხორციელებული აქტივობები როგორც ქსელის მზაობის, ასევე საინფორმაციო კამპანიის მიმდინარეობის და სეტ ტოპ ბოქსების კონცენტრაციის ნაწილში. ორგანიზაციის წარმომადგენელმა შესთავაზა კომიტეტს და ეკონომიკის სამინისტროს წარმომადგენლებს, რომ მომხდარიყო ანალოგური მაუწყებლობის გათიშვის გრაფიკის დამტკიცება, ასევე მათი გააქტიურება მომხმარებლისთვის განკუთვნილი მოწყობილობების იმპორტირების ხელშეწყობის ნაწილში. აღნიშნულ ინიციატივას მხარი დაუჭირა როგორც საქსელო პროვაიდერებმა, ასევე მარეგულირებელი კომისიის წარმომადგენლებმა და ეს აისახა საქართველოს

მთავრობის N723 დადგენილებაში „ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესში საქართველოში ანალოგური მაუწყებლობის სიგნალის გადამცემი სადგურების გათიშვის გრაფიკის დამტკიცების შესახებ“

- IDFI განსაკუთრებულად პრობლემურ საკითხად მიიჩნევდა ციფრულ სამაუწყებლო ქსელთან დაშვების რეგულაციებს, ავტორიზაციის საკითხებს და must carry-სთა დაკავშირებულ ცვლილებებს. კანონპროექტის განხილვა გაიმართა რამდენჯერმე გაიმართა, ფაქტობრივად ყველა შეხვედრას ესწრებოდა IDFI. ორგანიზაციის რიგი შენიშვნებისა გაიზიარა ეკონომიკის სამინისტრომ. საბოლოოდ გადაწყდა, რომ ქსელთან დაშვების და must carry-ს რეგულაციები მოგვიანებით შემუშავდება, გარდამავალ დებულებით კი მთავრობას დაევალა 2016 წლის 1 იანვრამდე შეიმუშაოს და საქართველოს პარლამენტს წარუდგინოს მულტიპლექს პლატფორმასთან მაუწყებელთა დაშვებისა და მაუწყებლობის ტრანზიტზე ავტორიზებული პირების მიერ სავალდებულო ტრანზიტის განხორციელების შესახებ კანონპროექტი.
- კანონპროექტზე შენიშვნების გაგზავნის შემდეგ IDFI-მ 27 მაისს ორგანიზება გაუწია შეხვედრას, სადაც მონაწილეობდნენ კომუნიკაციების ეროვნული კომისიის, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, ციფრული მაუწყებლობის სააგენტოს, ლიცენზიანტების და სეტ ტოპ ბოქსების მწარმოებელი და იმპოტიორი კომპანიის წარმომადგენლები, ასევე იმ კომპანიების ხელმძღვანელები, რომლებმაც უნდა ააგონ როგორც საზოგადოებრივი მაუწყებლის, ისე რეგიონული, ეროვნული და თბილისის ციფრული საეთერო ქსელი. არსებული სიტუაციისა და ქსელის მშენებლობის პროცესის შესახებ შეხვედრის მონაწილეებს ინფორმაცია მიაწოდეს შპს „ვეზირმა“, რომელიც საზოგადოებრივი მაუწყებლის მულტიპლექსს აშენებს და ამხანაგობა „მულტიპლექს თბილისმა“, რომელიც თბილისის მაუწყებლებისთვის აგებს ციფრულ საეთერო ქსელს. ეროვნული ციფრული საეთერო ქსელის მშენებლობის შესახებ მოხსენება გააკეთა შპს „სტერეო+“ -ს დირექტორმა დავით ზილფიმიანმა. შეხვედრისას გაირკვა, რომ ციფრული ქსელი აგებულია და ამ მხრივ პრობლემა არ არსებობს, თუმცა ხარვეზებია მოსახლეობის მომზადების კუთხით, ამიტომ პროცესის ყველა მონაწილე სწორედ IDFI-ს მიერ ორგანიზებულ შეხვედრაზე შეთანხმდა, რომ უმჯობესი იქნებოდა ანალოგური სიგნალის ეტაპობრივად და არა ერთიანად გამორთვა, როგორც ეს თავიდან იყო დაგეგმილი.
- ამ შეხვედრების პარალელურად მჭიდრო კომუნიკაცია მიმდინარეობდა როგორც ციფრული მაუწყებლობის სააგენტოსთან, ისე კომუნიკაციების ეროვნულ კომისიასთან. IDFI-ს წარმომადგენელი უჩა სეთური და ნათია კუპრაშვილი მონაწილეობდნენ GNCC-ში გამართულ შეხვედრებში, სადაც ანალოგური სიგნალის გამორთვის გრაფიკი გაიწერა რეგიონების მიხედვით. ასევე ორგანიზაციის ჩართულობით და ადვოკატირების შედეგად ფინანსთა სამინისტრომ მაუწყებლებს უკან დაუბრუნა წინასწარ გადახდილი სალიცენზიო გადასახადები. თანხამ ჯამში ერთი მილიონი ლარი შეადგინა. პროექტის მონაწილე ნათია კუპრაშვილმა კომუნიკაციების ეროვნული კომისიიდან გამოითხოვა ინფორმაცია სალიცენზიო მოსაკრებლების წინსწრებით გადახდილი ოდენობების თაობაზე. მიღებული საჯარო ინფორმაცია თანხის დროული დაბრუნების თხოვნის

წერილებით დაეგზავნათ ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროებს. პარალელურად შემუშავდა თანხის დაბრუნებისთვის საჭირო დოკუმენტაციის ნუსხა (ამონაწერი, გადახდის დამადასტურებელი ფინანსური დოკუმენტაცია), ასევე შემუშავდა კომპანიების მიერ სამინისტროსთვის წარსადგენი წერილები. აღნიშნულმა მოსამზადებელმა სამუშაოებმა შესაძლებელი გახადა თანხების დაბრუნების პროცესის 17 ივლისისთვის დაწყება.

- IDFI-ს წარმომადგენლები (უ. სეთური, ნ. კუპრაშვილი) პროექტის ფარგლებში ყოველთვიურად ხვდებოდნენ EBRD-ის წარმომადგენლებს ტაუნო აიალას და პიტერ ლანდს არსებული მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის და რეკომენდაციების გაცვლის მიზნით ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლასთან დაკავშირებული პროცესების შესახებ. EBRD-ის წარმომადგენლებმა საქართველოში ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესი წარმატებულად შეაფასეს, მას „ქართული მოდელი“ უწოდეს და განსაკუთრებით გამოყვეს რეგიონული მულტიპლექსების აგების ნაწილი.
- 17 ივლისიდან „მაუწყებლობის შესახებ“ კანონში შესული ახალი ცვლილებებით, გაუქმდა მაუწყებელთა ლიცენზირება და ყველა მაუწყებელი ავტორიზაციის ერთიან წესს - ავტორიზაციას დაექვემდებარა. სამაუწყებლო საქმიანობის კანონთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით ნათია კუპრაშვილმა მოამზადა და რეგიონულ არხებს, რომლებიც მოკლებულნი არიან ადგილზე საკონსულტაციო- იურიდიულ მომსახურებას, დაუგზავნა განმარტებითი წერილები, სადაც ავტორიზაციის ვადებთან ერთად დეტალურად გაიწერა ავტორიზებისთვის საჭირო პროცედურა და დოკუმენტები.
- 30-31 აგვისტოს უჩა სეთურმა მონაწილეობა მიიღო „რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაციის“ მიერ ორგანიზებულ სამუშაო შეხვედრაში, რომელიც ციფრულ საეთერო ქსელთან დაშვების რეგულაციებს შეეხებოდა. უჩა სეთურმა რეგიონულ მაუწყებლებს გააცნო ქსელთან დაშვების მოწვევის ოფერტის სანიმუშო მოდელი და ისაუბრა იმ პრობლემურ მხარეებზე, რაც ქსელთან დაშვების შესახებ საკანონმდებლო რეგულაციებისას წარმოიქმნება.

2.2. საინფორმაციო კამპანია

კანონპროექტებზე მუშაობის პარალელურად IDFI მონიტორინგს უწევდა ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის შესახებ მოსახლეობის ინფორმირებას, საკუთარ შენიშვნებსა და რეკომენდაციებს აწვდიდა როგორც ციფრული მაუწყებლობის სააგენტოს, ასევე GNCC-ს. პარალელურად ცდილობდა ინფორმაციის საკუთარი ძალებით გავრცელებას.

IDFI-ს წარმომადგენელი ნატა ძველიშვილი 19 მაისს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს შეხვდა და აუხსნა, თუ ვის ეხება რეფორმა და როგორ უნდა მოემზადოს საზოგადოება ციფრულ მაუწყებლობაზე გადასასვლელად. იმავე თემაზე 14 მაისს შავი ზღვის უნივერსიტეტში სტუდენტებთან შეხვედრა გამართა ნათია კუპრაშვილმა.

პარალელურად ორგანიზაციამ შეაგროვა ინფორმაცია ქართულ ბაზარზე არსებული სეტ ტოპ ბოქსების შესახებ, რათა დარწმუნებულიყო, რომ მოსახლეობის სურვილის შემთხვევაში შესაბამისი რაოდენობის და ხარისხის ტექნიკა იყო წარმოდგენილი.

IDFI-ს წარმომადგენლები 30-31 მაისს თავად იმყოფებოდნენ თბილისში არსებულ ტექნიკის მაღაზიებში და სეტ ტოპ ბოქსების კონცენტრაციის საკითხი შეისწავლეს. უშუალოდ შეამოწმეს კომერციულ ბაზარზე არსებული სამივე ფირმის მიერ წარმოებული მოდელები (TV Star (სამი ეგზემპლარი), Eurostar (სამი ეგზემპლარი), AG). შემოწმების შედეგად დადასტურდა, რომ ყველა მათგანი თავსებადია იმ სტანდარტის ციფრულ სიგნალთან, რაც საქართველოს მასშტაბით ვრცელდება. შედგა რამდენიმე შეხვედრა TV Star-ის დისტრიბუტორ კომპანია ACC Distribution-თან და AG Telecom-თან. უშუალოდ მათგან მიღებული ინფორმაციით ივლისის ბოლოსთვის უკვე გაყიდული იყო 130 ათასზე მეტი რაოდენობის სეტ ტოპ ბოქსები. ასევე შედგა შეხვედრა სეტ ტოპ ბოქსების ადგილობრივ მწარმოებელთან - შპს „TGM"-ის ხელმძღვანელთან მიხეილ ღლონტთან, რომელიც „AG"-ს ბრენდით აწარმოებს მიმღებ მოწყობილობებს.

გარდა ამისა, IDFI-მ წერილით მიმართა 15 მსხვილ მაღაზიას, რათა მათ დეტალურად მოეწოდებინათ ინფორმაცია სეტ ტოპ ბოქსების შესახებ და მოეცათ ინფორმაციის IDFI-ს ვებგვერდზე განთავსების ნება.

IDFI-მ მიღებული ინფორმაცია გადაამუშავა და გამოაქვეყნა იმ მაღაზიების სია მთელი საქართველოს მასშტაბით, რეგიონების მიხედვით, სადაც სეტ ტოპ ბოქსების შეძენა არის შესაძლებელი. სია პერიოდულად ახლდება. ორგანიზაციის წარმომადგენლები თავად ამოწმებენ მაღაზიებში რესივერების კონცენტრაციას, ფასის ცვლილებას და პროაქტიულად აქვეყნებენ ინფორმაციას.

გარდა ამისა, IDFI-მ მოამზადა ორი ინფოგრაფიკა ანალოგური სიგნალის გამორთვის თარიღების და ზონების მითითებით. ერთ-ერთი ვიზუალიზაცია GNCC-მ და ციფრული მაუწყებლობის სააგენტომ საგაზეთო ჩანართისთვის გამოიყენეს.

სეტ ტოპ ბოქსების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებას საზოგადოების გამოხმაურება მოჰყვა. IDFI-ს წარმომადგენლები პასუხობდნენ მოქალაქეთა კითხვებს, რომლებიც ძირითადად ტექნიკის მიერთებას, ანალოგური სიგნალის გამორთვის თარიღებს და ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის საჭიროებას ეხებოდა. IDFI-მ საერთო ჯამში 300-მდე მოქალაქეს გაუწია კონსულტაცია როგორც სატელეფონო ზარის, ისე ონლაინ საშუალებებით.

ანალოგური სიგნალის გამორთვის წინ გადაიტვირთა ციფრული მაუწყებლობის ცხელი ხაზი, რის გამოც უკმაყოფილო მოსახლეობამ მომართა IDFI-ს. 18 ივნისს ორგანიზაციის რეკომენდაციის საფუძველზე სააგენტომ ცხელი ხაზის (14 80) ოპერატორების რაოდენობა გაასამმაგა.

IDFI-ს მომართავდნენ სოციალურად დაუცველები, რომლებიც ვერ მოხვდნენ იმ სიაში, ვისაც სეტ ტოპ ბოქსი გადაეცათ. ორგანიზაცია დაეხმარა საკითხის გარკვევაში.

2015 წლის 15 აგვისტოს ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) დირექტორმა, გიორგი კლდიაშვილმა და ტელეკომუნიკაციების მიმართულების ხელმძღვანელმა უჩა სეთურმა, გორში, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად დაზარალებული სოფიო მურადოვი მოინახულეს, რომელსაც ციფრული სიგნალის მიმღები მოწყობილობა, „სეტ-ტოპ-ბოქსი“ და მიმღები ანტენა გადასცეს და დაუმონტაჟეს.

სეტ ტოპ ბოქსების ბაზარზე შემოტანის მონიტორინგისას აღმოჩნდა, რომ რიგმა მაღაზიებმა მათი ფასი 10 ლარით გაზარდეს. ამიტომ საჯარო გამოსვლებში IDFI-მ თხოვნით მიმართა მაღაზიებს ხელი შეეწყოთ ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესისთვის და არ გაეზარდათ სეტ ტოპ ბოქსების ფასი.

24 ივნისს ორგანიზაციამ ეკონომიკის სამინისტროს, კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას და ციფრული მაუწყებლობის სააგენტოს გაუგზავნა მოსაზრებები საინფორმაციო კამპანიასთან დაკავშირებით და მოსახლეობის ინფორმირების უზრუნველსაყოფად დამატებით სხვადასხვა საკომუნიკაციო არხების გამოყენება ითხოვა, მათ შორის იყო რეგიონებში ანალოგური სიგნალის გამორთვამდე ბრიფინგების გამართვა და მოსახლეობასთან პირისპირ შეხვედრა.

რეკომენდაციები გაზიარებულ იქნა და თითოეულ რეგიონში ანალოგური სიგნალის გამორთვის წინ იმართებოდა ბრიფინგი მედიისთვის, სადაც მონაწილეობას იღებდა IDFI-ს წარმომადგენელი. გარდა ამისა, დაიგეგმა რეგიონებში გასვლითი შეხვედრები მოსახლეობასთან, სადაც ასევე ჩართული იყო IDFI-ც. შეხვედრები უკვე გაიმართა გორში, ხაშურში, ზესტაფონში, ქუთაისში, ფოთში, ოზურგეთში, ბათუმში, ქობულეთში, თიანეთში.

პარალელურად დაიგეგმა ინფორმირების კამპანია რეგიონული არხების ჩართულობით. მომზადდა ორი სადისკუსიო პროგრამა. GARB -თან პარტნიორობით თავად რეგიონულ არხების კუთვნილ ნომრებზე ამოქმედდა ე.წ. ,,ცხელი ხაზი”, კომპანიებმა თავიანთი თანამშრომლები (ტექნიკური ჯგუფი) უსასყიდლოდ ჩართეს მოსახლეობის დახმარების პროცესში, თუმცა შემოსული ზარების მიხედვით დახმარების მსურველთა რაოდენობა მაინც იმაზე მეტი აღმოჩნდა, ვიდრე ადგილობრივი არხის მცირე ჯგუფის შესაძლებლობები.

ქვემო ქართლის რეგიონის ნაწილში ანალოგური მაუწყებლობის გამორთვის შემდეგ (გამორთვის პირველი ზონა) ადგილობრივ ტელეარხში შემოსული ზარებით გამოიკვეთა პრობლემა- მოსახლეობის ნაწილი, სახლში დამონტაჟებული ანტენით ახერხებდა მხოლოდ ადგილობრივი მუქსიდან მომავალი სიგნალების მიღებას, რამაც დაბნეულობა გამოიწვია. მეორე დღესვე 3 ივლისს უჩა სეთურმა და ნათია კუპრაშვილმა, კომუნიკაციების ეროვნული კომისიის, ციფრული მაუწყებლობის სააგენტოსა და ადგილობრივი არხის ხელმძღვანელის

მონაწილეობით ჩაატარეს სპეციალური პრესკონფერენცია, სადაც დეტალურად იქნა ახსნილი - ანტენის მონტაჟთან დაკავშირებული საკითხები.

2.3. ციფრული ქსელის მშენებლობის მონიტორინგი

საქართველოს მთავრობის N723 დადგენილებით განსაზღვრული, ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესში საქართველოში ანალოგური მაუწყებლობის სიგნალის გადამცემი სადგურების გათიშვის გრაფიკის მიხედვით თბილისის ციფრული ზონა გაითიშა 1 ივლისს 10 საათზე. რის შემდეგაც ციფრული მაუწყებლობის ქსელის მონიტორინგიც დაიწყო. თითოეულ რეგიონში ანალოგური სიგნალის გამორთვის შემდეგ, ორგანიზაციის თამაშრომლები შემოწმებას იწყებდნენ.

3- 6 ივლისი - თბილისი, საგარეჯო, რუსთავი, მარნეული, სართიჭალა და მიმდებარე ტერიტორია,

20-22 ივლისი - ზესტაფონი, ბაღდათი, ვანი, ლანჩხუთი, ფოთი, ხობი, ქუთაისი, თერჯოლა, გორი.

3-4 აგვისტო - ჩოხატაური, ოზურგეთი, ქობულეთი, ბათუმი, ხელვაჩაური, ქედა, შუახევი, ხულო, ფოთი, სენაკი, სამტრედია

20 აგვისტო - ბორჯომი, ტაშისკარი, ბაკურიანი, ჩითახევი, აწყური, ახალციხე, ადიგენი, ასპინძა, ახალქალაქი, ნინოწმინდა

27 აგვისტო - დედოფლისწყარო, წნორი, ლაგოდეხი, გურჯაანი, თელავი, ყვარელი, ახმეტა, დმანისი, ბოლნისი

მონიტორინგის დაწყებამდე შემუშავდა შემოწმების მეთოდოლოგია და სპეციალური ოქმები, რომელიც ადგილზე შეივსო და დაფიქსირდა არსებული მდგომარეობა.

მეთოდოლოგია:

1. ტესტირება ანალიზატორის გამოყენებით: რომლის პროცესში გაზომვები წარმოებდა TELEVES H45-ის ანალიზატორის მეშვეობით, დელტას ფირმის (311 H) მიმღები ანტენის (პარამეტრები 10 დეციბელამდე დეციმეტრულ სიხშირეებზე და 1.5 დეციბელი მეტრულ სიხშირეებში) გამოყენებით არაუმეტეს 5 მეტრის სიმაღლეზე დედამიწის ზედაპირიდან;
2. ტესტირება ბოლო მომხმარებლის აპარატურის გამოყენებით: მეთოდით მოსახლეობაში დარიგებული KONKA-ს და საცალო გაყიდვაში არსებული AG-ს ფირმის რისივერების, დელტას ფირმის (311 H) მიმღები ანტენის (პარამეტრები 10 დეციბელამდე დეციმეტრულ სიხშირეებზე და 1.5 დეციბელი მეტრულ სიხშირეებში) გამოყენებით არაუმეტეს 5 მეტრის სიმაღლეზე დედამიწის ზედაპირიდან ხდებოდა ტელევიზორის და

რისივერის ჩართვა და ძებნის რეჟიმში დაფიქსირებული ყველა სატელევიზიო არხის დაფიქსირება.

ანგარიშის პერიოდში მონიტორინგმა მოიცვა შემდეგი რაიონები:

1. პირველი ზონა - თბილისის ციფრული ზონა - სადაც შედის თბილისი, რუსთავი, ასევე მარნეულის, საგარეჯოს, გარდაბნის რაიონები;
2. მეორე ზონა - შიდა ქართლის რეგიონი;
3. მესამე ზონა - იმერეთის რეგიონი, ასევე გურიის და სამეგრელოს რეგიონების ნაწილი;
4. მეოთხე ზონა - აჭარის რეგიონი და გურიის რეგიონის ნაწილი.

მონიტორინგის ფარგლებში ორგანიზაციის მონიტორინგის ჯგუფის მიერ შემოწმდა საქსელო მდგრადობის და სიგნალის მიღების, ასევე სხვადასხვა პარამეტრები როგორც ეროვნული დაფარვის ქსელების, ასევე ადგილობრივი ტელევიზიების მიერ აგებული ქსელები მდგომარეობა. 50-მდე გეოგრაფიულ წერტილში მონიტორინგის შედეგები გადამოწმდა ორჯერ. შედეგების შესახებ პრეზენტაცია გაიმართება მიმდინარე წლის აგვისტოს ბოლოს.

3. მედია გაშუქება

IDFI-ს მიერ ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესის მხარდაჭერასა და მონიტორინგს აქტიურად აშუქებდნენ: რუსთავი2, მაესტრო, საზოგადოებრივი მაუწყებელი, GARB, იმედი, მეორე არხი, რადიო თავისუფლება, რადიო მაესტრო, რადიო ფორტუნა, ინტერპრესნიუსი, ტაბულა, ლიბერალი, ნეტგაზეთი, გურია ნიუსი და სხვები.

1 ივლისს, როდესაც ანალოგური სიგნალი თბილისსა და მის შემოგარენში გაითიშა, რუსთავი 2-ის ეთერში გავიდა სიუჟეტი, სადაც საუბარია ზუსტი ინფორმაციის არ არსებობაზე იმის შესახებ, თუ რამდენი ოჯახი ვერ ახერხებს ქართული არხების ყურებას. 3 ივლისს, რუსთავი 2-მა გააშუქა რუსთავში ციფრული მაუწყებლობის სიგნალის მიღებისას წარმოქმნილი პრობლემები, ამავე სიუჟეტში IDFI-ის მედია და ტელეკომუნიკაციის მიმართულების ხელმძღვანელი, უჩა სეთური საუბრობს და აღნიშნავს, რომ მნიშვნელოვანია მოსახლეობა ანალოგური სიგნალის გათიშვას ქვეყნის მთლიან ტერიტორიაზე მომზადებული შეხვდეს. რუსთავი 2-მა, გორში სიგნალის გათიშვამდე, მოსახლეობასთან შეხვედრაც გააშუქა. 25 აგვისტოს, მცხეთა-თიანეთში ანალოგური სიგნალი გაითიშა. აღნიშნულის შესახებ რეგიონში შეხვედრა გაიმართა, რომელზეც IDFI-ის ანალიტიკოსი ნატა ძველიშვილი იმყოფებოდა. რუსთავი 2-ის სიუჟეტში ნატა ძველიშვილი აღნიშნავს, რომ ყველაზე ეფექტური კომუნიკაციის საშუალება მსგავსი ტიპის შეხვედრები აღმოჩნდა მოსახლეობის ინფორმირებისთვის.

GDS-ის შუადღეში სტუმრად იყო IDFI-ის ანალიტიკოსი, ნატა ძველიშვილი, რომელმაც ისაუბრა თუ ვის ეხება ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესი და ვის სჭირდება დამატებითი

მოწყობილობის, „სეტ ტოპ ბოქსის“ შემენა. ასევე, მან პირდაპირ ეთერში ისაუბრა იმაზეც, თუ როგორ უნდა დაუკავშირონ აღნიშნული რისივერი ტელევიზორს. ოდნავ მოგვიანებით, ამავე არხის შუადღეში საუბრობდა უჩა სეთური: "სეტ-ტოპ-ბოქსები ბაზარზე ხელმისაწვდომია. ნაწილი სთავაზობს მოსახლეობას ნულოვან განვადებას, ერთ-ერთი კომპანია სთავაზობს მომხმარებლებს სახლში მიტანის და დამონტაჟების სერვისს დამატებით ათი ლარის სანაცვლოდ, სოციალურად დაუცველებს რისივერები უკვე დაურიგდა, ხოლო დანარჩენ მოსახლეობას აქვს საშუალება აარჩიოს ფასის და სხვა კრიტერიუმების მიხედვით მისთვის ოპტიმალური სეტ-ტოპ-ბოქსი"- განმარტა მან.

იმედმა ჯერ კიდევ ანალოგური სიგნალის გათიშვამდე მოამზადა სიუჟეტი, სადაც IDFI-ის მედია ექსპერტი, უჩა სეთური ანალოგური სიგნალის გამორთვასთან დაკავშირებულ მოსალოდნელ დაბრკოლებებზე საუბრობს. იმედის ეთერით უჩა სეთურმა ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესში გარკვეულ ხარვეზებზე კვლავ ისაუბრა და მოსახლეობას ურჩია, რომ რისივერები დროულად შეიძინონ, რათა საქართველომ სხვა ქვეყნების პრაქტიკა არ გაიმეოროს. მოგვიანებით, როცა ეტაპობრივად დაიწყო თბილისსა და მის შემოგარენში ანალოგური სიგნალის გათიშვა, იმედმა თავის მორიგ სიუჟეტში ანალოგური სიგნალის გათიშვის შემდეგ წამოჭრილ პრობლემებზე გაამახვილა ყურადღება. ამავე სიუჟეტში უჩა სეთურმა პრობლემათა გამომწვევ მიზეზებზე ისაუბრა. მცხეთა-თიანეთის ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის შესახებ გამართული შეხვედრა გააშუქა იმედმაც, სიუჟეტში ნატა ძველიშვილი შეხვედრის დეტალებზე საუბრობს.

მაესტროს საქმიანი დილის ეთერში IDFI-ის ანალიტიკოსი, ნატა ძველიშვილი ციფრული მაუწყებლობის სააგენტოს მიერ განხორციელებული საინფორმაციო კამპანიის უარყოფით მხარეებზე საუბრობს. აღნიშნავს, რომ მოსახლეობის ინფორმირებულობის დონე ანალოგური სიგნალის გათიშვის წინა პერიოდში არც თუ ისე მაღალია, რისი გამომწვევიც არაეფექტური საინფორმაციო კამპანიაა. მას შემდეგ, რაც ციფრულ მაუწყებაზე გადასვლის თარიღმა 17 ივნისიდან ორი კვირით, 1 ივლისამდე გადაიწია, უჩა სეთურმა მოსახლეობას ურჩია, ეს დრო სეტ-ტოპ-ბოქსების შესაძენად გამოიყენონ. ამავე ტელევიზიის მიერ მომზადდასიუჟეტი ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლამდე ერთი დღით ადრე. 25 აგვისტოს, თიანეთში გამართული შეხვედრის შესახებ სიუჟეტი მომზადდა მაესტროს მიერ.

იმავე საკითხზე ბევრად ადრე ნატა ძველიშვილი საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში საუბრობდა და აღნიშნავდა, რომ საინფორმაციო კამპანია გაცილებით ადრე უნდა დაეწყო ციფრული მაუწყებლობის სააგენტოს. ასევე, საუბრობდა, რომ ამ კამპანიის პროცესში განსაკუთრებული ყურადღება საზღვრისპირა სოფლებს უნდა დათმობოდათ.

საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში არა ერთხელ იყო მიწვეული უჩა სეთურიც. ეკონომეტრის ეთერში იგი ქართულ ბაზარზე რისივერების მაჩვენებელზე, მოსახლეობის ინფორმირებულობასა და ქვეყნის მთლიანი მასშტაბით ანალოგური სიგნალის გათიშვის სავარაუდო ვადებზე საუბრობდა. საზოგადოებრივი მაუწყებელი თბილისში

ანალოგური სიგნალის გათიშვის შემდეგ განვითარებულ მოვლენებზეც მუშაობდა. 6 ივლისის სიუჟეტში მაუწყებელმა IDFI-ის მონაწილეობით შიდა ქართლში სიგნალის გათიშვამდე გამართული საინფორმაციო ტიპის შეხვედრაც გააშუქა. 7 ივლისს, საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერით, IDFI-ის ანალიტიკოსი ნატა ძველიშვილი საუბრობდა. მისი თქმით, არც ბაზარზე და არც სქსელის მდგრადობის თვალსაზრისით პრობლემები არ შეინიშნება. მოგვიანებით, 8 ივლისს, სიგნალის გათიშვის შემდგომ, საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერით, უჩა სეთურმა მოსახლეობას საჭირო რეკომენდაციები მიაწოდა. IDFI-ის ვიზიტი რეგიონებში ციფრულ მაუწყებლობლობასთან დაკავშირებით, ციფრული მაუწყებლობის სააგენტოსა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების საქმეთა სამინისტროს წამომადგენლებთან ერთად, ასევე შუქდებოდა საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერით. შეხვედრები გაიმართა ფოთსა და ზესტაფონში, სადაც იმყოფებოდა ნატა ძველიშვილი. საზოგადოებრივი მაუწყებლის, მიერ სიუჟეტი მომზადდა მცხეთა-თიანეთში, 25 აგვისტოს ანალოგური სიგნალის გათიშვასთან დაკავშირებით გამართულ შეხვედრაზე, რომელშიც მონაწილეობდა IDFI-ის ანალიტიკოსი, ნატა ძველიშვილი.

შეხვედრა გორში TV Dia-ს მიერაც იქნა გაშუქებული. აღნიშნული ტელეკომპანიის სიუჟეტში, ნატა ძველიშვილმა მოსახლეობას და შეხვედრაზე დამსწრეებს კიდევ ერთხელ შეახსენა, თუ ვის დასჭირდება სეტ-ტოპ-ბოქსები და სად შეიძლება მათი შეძენა.

ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესი მეორე არხმაც გააშუქა. "არგუმენტების დრო"-ში სტუმრად იყო უჩა სეთური, რომელმაც ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლასთან დაკავშირებული ყველა დეტალი განიხილა. მათ შორის, ყურადღება გაამახვილა სახელმწიფოს ჩართულობაზე ამ პროცესში და აღნიშნა, რომ ყველაფერი კერძო ინვესტიციების წყალობით განხორციელდა, ვინაიდან სახელმწიფომ სახსრები არ დახარჯა.

ტელეკომპანია კავკასიამ მოსახლეობას აუწყა, რომ ჯერ კიდევ 1 ივლისამდე, ციფრული სიგნალი ჩართული იყო და შეეძლოთ სეტ-ტოპ-ბოქსების შეძენა არ გადაედოთ.

ჯერ კიდევ 30 აპრილს, რადიო ფორტუნას "რაკურსის" ეთერით, ნატა ძველიშვილმა ინსტიტუტის მიერ განხორციელებულ ღონისძიებებზე ისაუბრა და იმედი გამოთქვა, რომ დროულად მოხდება ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლა და ამ მხრივ საქართველო იქნება გამორჩეულად სანიმუშო, თუ მან ყველაზე მოკლე ვადაში მოახერხა ციფრულ საეთერო მაუწყებლობაზე გადასვლა.

ციფრულზე გადასვლის პროცესი არც ბეჭდურ მედიას დაუტოვებია უყურადღებოდ. გამოქვეყნდა არა ერთი სტატია სხვადასხვა მედიასაშუალების ვებგვერდზე: Liberali.ge, Netgazeti.ge, newspress.ge, gurianews.ge, Radiotavisufleba.ge, Epn.ge და სხვები.

Liberali.ge-მ 22 ივნისს ვრცელი სტატია გამოაქვეყნა ციფრული მაუწყებლობის შეცვლილ თარიღთან დაკავშირებით. სტატიაში უჩა სეთურის ვრცელი კომენტარი გვხვდება ციფრული

სიგნალის გასავრცელებლად საქსელო მზაობის შესახებ. ასევე, საუბარია იმაზე, რომ IDFI-მ გამოაქვეყნა ინფორმაცია ციფრული მაუწყებლობისათვის საჭირო მიმღებების ქართულ ბაზარზე გავრცელებასთან დაკავშირებით.

Netgazeti.ge ავრცელებს სტატიას ანალოგური სიგნალის გათიშვის შემდგომ და წერს, რომ რუსთავის მოსახლეობას ციფრული სიგნალის მიღებასთან დაკავშირებით გარკვეული პრობლემა შეექმნა. ამავე სტატიაში, აღნიშნულ საკითხზე უჩა სეთური საუბრობს. მისი თქმით, ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ აღნიშნული პრობლემა ეხებოდა რისივერებს, თუმცა IDFI-ს მიერ შემოწმებულ იქნა 10 წერტილი რუსთავში და აღმოჩნდა, რომ ხელმისაწვდომია ყველა არხი. მან ურჩია მოსახლეობას, ანტენები სახურავებზე განეთავსებინათ, სიგნალის სრულყოფილად მისაღებად.

Newspress.ge სტატიაში ციფრული მაუწყებლობის სააგენტოს, IDFI-სა და ეროვნული კომისიის თანამშრომლობაზე წერს და შიდა ქართლის ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის შესახებ ინფორმაციას ავრცელებს.

Radiotavisufleba.ge-ს სტატიაში უჩა სეთურმა კიდევ ერთხელ განმარტა ის უპირატესობები, რაც ციფრულ მაუწყებლობას აქვს.

Epn.ge: "IDFI-მ ქართულ ბაზარზე არსებულ, ციფრული მაუწყებლობისთვის საჭირო „სეტ ტოპ ბოქსებთან“ დაკავშირებით მონიტორინგი ჩაატარა."- წერს ექსპრესნიუსი. მონიტორინგის შედეგები დაწვრილებითაა განხილული EPN.ge-ს სტატიაში.